



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევროპის სახლი

ევროპის სახლი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი. დაფუძნებულია საქართვე. სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე 2009 წ. 27 ივლისს. ე. ს-ის დამფუძნებლები არიან: ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“ (უფლებამოსილი პირები: - ა. რონდელი, ნ. ყანჩელი). ე. ს. თავის საქმიანობას ახორციელებს საქართვე. კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, საქართვე. სხვა ნორმატიული აქტებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ე. ს-ის მმართველი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო. საბჭოში შედის არანაკლებ 2 და არაუმეტეს 4 წევრი; საბჭოში თანამდებობრივად შედის აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი. ე. ს-ს გააჩნია ანგარიში საქართვე. საბანკო დანესებულებაში (როგორც სალარო, ასევე სავალუტო). ე. ს-ის მიზანია: საქართველოში ევრ. ღირებულებებისა და კულტურის გავრცელება, ევრ. ინსტიტუციების პოპულარიზაცია, ევროპაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა. დასახული მიზნების მისაღწევად ე. ს. ხელს უწყობს საქართველოსა და ევროპაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას; აარსებს ევრ. შესახებ საინფორმაციო ცენტრს, რ-იც ეწევა საქართვე. მოსახლეობის ინფორმირებას ევრ. ინსტიტუციებისა და მათი საქმიანობის შესახებ; აარსებს ევრ. ენების შემსწავლელ სერტიფიცირებულ კურსებს. აწყობს გამოფენებს, სემინარებს და თემატურ შეხვედრებს ევრ. კულტურისა და ღირებულებების საკითხებზე; გამოსცემს პერიოდულ და თემატურ გამოცემებს ევრ. ისტორიის, კულტ. მემკვიდრეობის, თანამედროვეობისა და ინსტიტუციების შესახებ; მართავს თემატურ საჯარო განხილვებს საქართველოევრ. ურთიერთობების შესახებ; ხელს უწყობს საქართველოში არსებული არასამთავრობო სექტორის აქტ. კავშირს ევროპაში არსებულ პარტნიორებთან; მონაწილეობას იღებს ევროკავშირისა და ინდივიდუალური ევრ. სახელმწიფოების მიერ საქართველოში განხორციელებულ პროგრამებში; დახმარებას უწევს ევროპელ მეცნიერ-მკვლევრებს, საბ. მოღვაწეებს, ხელოვანებს; ასევე ორგანიზაციის

წესდების შესაბამისად, ხელს უწყობს ევრ. ინსტიტუციებისა და ევრ. სახელმწიფოების წარმომადგენლობების საქმიანობას საქართველოში; ორგანიზებას უწევს და ასრულებს ნებისმიერ კანონიერ მოქმედებას, რაც უკავშირდება ე. ს-ის მიზნების განხორციელებას.

ნ. ყანჩელი
